საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №56

2023 წლის 20 დეკემბერი

ქ. თბილისი

„თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის №33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის №33 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 23/10/2020, 240140000.41.046.016010) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესის“:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) განაცხადი – პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) ზეპირად ან წერილობით წარმოდგენილი ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობაზე;“.

2, მე-5 მუხლს მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კანონითა და ამ წესით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს კონკურენციის
ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი ლექვინაძე**